

პრეს-რელიზი

რიცხვი: 19 სექტემბერი 2018წ.

კონტაქტი: ირმა გოგოტიშვილი
PwC საქართველო, მარკეტინგი & კომუნიკაციები,
ბიზნეს ცენტრი მეფე დავითი, მე-7 სართული,
მ. ალექსიძის ქ. #12. თბილისი, 0160, საქართველო
irma.gogotishvili@pwc.com

გვერდი: 2


PwC საქართველოს ორი ახალი დირექტორი ჰყავს

„ფრაისუოთერჰაუსკუპერს“ საქართველოს ოფისმა ორი ახალი ქალი დირექტორის წარდგენით თავისი საქმიანობის კიდევ უფრო განვითარება გამოაცხადა.

გამომდინარე იქიდან, რომ PwC მიზნად ისახავს კიდევ უფრო გაზარდოს თავისი გამოცდილება რეგიონში და დააკმაყოფილოს კლიენტთა ზრდადი მოთხოვნები, ასევე დააფასოს წარმატებული და სათანადო გამოცდილების და ცოდნის მქონე ნიჭიერი ქალი თანამშრომლები, ფირმამ აუდიტისა და საკონსულტაციო დეპარტამენტებში დირექტორობის ახალი კანდიდატები წარადგინა.



ნინო ქადაგიშვილი, აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი. ნინო ფირმას 2008 წელს შემოუერთდა და 10 წლის განმავლობაში იგი აქტიურად იყო ჩართული და ხელმძღვანელობდა აუდიტორულ პროექტებს. ნინო არის სერთიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის დიპლომირებული წევრი (FCCA), პროფესიულ დონეზე ფლობს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (IFRS) ცოდნას და გამოცდილებას, ასევე ადგილობრივი სააღრიცხვო კანონების სიღრმისეულ ცოდნას. ნინო აქტიურად არის ჩართული ფირმის განვითარების პროცესებში, იგი ხელმძღვანელობს PwC საქართველოს სასწავლო აკადემიას; თავისი მოვალეობის ფარგლებში, ხელმძღვანელობს სხვადასხვა პროფესიულ და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. ნინო ფლობს მაგისტრის ხარისხს ეკონომიკაში და დიპლომს იურისპრუდენციაში.



თამთა შერმადინი, საკონსულტაციო დეპარტამენტის დირექტორი. თამთას 10 წელზე მეტი პროფესიული გამოცდილება მოიცავს მრავლობითი საკონსულტაციო პროექტების ხელმძღვანელობას და მართვას, გარიგებებს, კვლევების და სტრატეგიების შემუშავებას. იგი დახმარებას უწევს კომპანიებს თავიანთი სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეზე, და ასევე ეხმარება მოცემული სტრატეგიული პერიოდის ოპერაციების ბიუჯეტირებაში. ამჟამად, თამთა აქტიურად ახორციელებს პროექტებს საქართველოს მთავრობასა და ქვეყანაში სხვადასხვა დონორებისათვის. შესაბამისად, PwC-ის საქართველოს საკონსულტაციო პრაქტიკა საჯარო სექტორის კონსულტირებაში საკმაოდ აქტიურია. თამთა PwC საქართველოს საკონსულტაციო მომსახურების განვითარებას 2018 წლის 1 ოქტომბრიდან დირექტორის თანამდებობაზე გააგრძელებს. თამთა ფლობს IE-ის ბიზნეს სკოლის (მადრიდი, ესპანეთი) ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს.

დაწინაურების შესახებ **ქვეყნის მმართველმა პარტნიორმა, ლაშა ჯანელიძემ** განაცხადა: „ეს დაწინაურება ასახავს ჩვენს ინვესტიციებს თანამშრომლებში, და ჩვენს ვალდებულებას ინვესტიციები განვახორციელოთ რეგიონში და განვახორციელოთ PwC-ის შემდგომი საქმიანობა. გვჯერა, რომ ნიჭიერი და სათანადო ცოდნის და გამოცდილების მქონე ქალი დირექტორების ხელშეწყობით და მათი დაფასებით, შევქმნით დამატებით ღირებულებას ჩვენი ფირმისა და ჩვენი კლიენტებისათვის“.

PwC-ის წარმომადგენლობა საქართველოში 13 წელიწადს ითვლის. თბილისის ოფისი კლიენტთა ფართო სპექტრს მოიცავს, თითქმის ყველა სფეროს და ინდუსტრიას, ბევრი მათგანი კარგად ცნობილ ადგილობრივ და გლობალურ ბრენდებს წარმოადგენს.

ძირითადი მიმართულებების - **აუდიტი და საგადასახადო მომსახურებების** გარდა - ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში PwC საქართველომ კლიენტთა მოთხოვნებს უპასუხა და გააფართოვა მომსახურებების სფერო **იურიდიული კონსულტაციების, ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურებისა და PwC ტრენინგების აკადემიის** მიმართულებებით. მომსახურების ხარისხის გარდა, PwC ზრუნავს თანამშრომელთა განვითარებაზე. ბოლო წლების განმავლობაში PwC საქართველომ მოამზადა და გადაამზადა თანამშრომლები, და ამით თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს ბიზნეს საზოგადოების განვითარებაში.

ფირმის წარმატებული არსებობა რეგიონში განაპირობა მისმა ხედვამ და რეგიონისადმი ერთგულებამ. PwC საქართველო განაგრძობს მის საქმიანობას და თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის შემდგომი განვითარების პროცესებში.

PwC -ის შესახებ

PwC-ში ჩვენი მიზანია საზოგადოების ნდობის ამაღლება და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში მათი დახმარება. ჩვენს ქსელში შემავალი ფირმები 158 ქვეყანაშია განთავსებული და მასში დასაქმებულია 236.000-ზე მეტი ადამიანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალხარისხიან აუდიტორულ, საკონსულტაციო, საგადასახადო და იურიდიულ მომსახურებებს. მეტი ინფორმაციის მისაღებად და ასევე თქვენი მოსაზრებების გამოსახატავად გთხოვთ იხილოთ ვებ-გვერდი www.pwc.com/ge

PwC საქართველოს ოფისი თბილისში გაიხსნა 2005 წელს. ჩვენ, შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო ვმუშაობთ, რომ დავეხმაროთ ჩვენს კლიენტებს ადგილობრივ ბაზარზე, გახდნენ უფრო წარმატებულები და გლობალურად კონკურენტუნარიანები. დღეს თბილისის ოფისში დასაქმებულია 100-ზე მეტი თანამშრომელი.

"PwC" წარმოადგენს ფრაისუოთერჰაუსკუპერს ინტერნეიშენალ ლიმიტედ-ის კომპანიების ქსელს, რომელთაგან თითოეული არის ცალკე დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure

©2018 ფრაისუოთერჰაუსკუპერსი. ყველა უფლება დაცულია.